F 24/1887

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი

საქოველ.-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა № 5 თებერვლის 8.

გაზეთი დიერს: ეროთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ზელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანტორაში. ფოთში ბესარ. კალანდარაშვილთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან: ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენცია) გარკვეული უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერ[illegible]ების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული [illegible]სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

ნანა.

ნანინა [illegible] ნანინა,
ნეტავი რამ შეგაშინა?
მოიცადე, დაიძინე,
აქა ვარ შენთან, შენს წინა

იძინე ტკბილად, უშიშრად
მე ვიბრძვი გარეთ და შინა,
როცა შენ წამოიზრდები
მე დავიცდები მაშინა.

ჯერ კი შე ვერწეგ აკვანსა
და გიმღერ ტკბილად ნანასა,
ღმერთი მომასწრებს ნატრობდნენ
ქველა შვილს შენისთანასა,

—

აჭეკავდეს შენი სიცოცხლე
და შენი სწავლის წეურვილი,
ეამრავლდეს შენი ნაშენი
და შენი წერილი შვილები,
იეენენ გელ-ლომნი მამაცნი
ღვთისაგან დალოცვილები

ჯ. ნინო ორბელიანისა.

1 თებერვალს 1887 წ.

სატირას რა აქვს საგნად? *)

სატირის საგანს შეადგენს ან საზოგადოების, ან ცალკე პირის შეცდომის, სისუსტის და გარყვნილობის დაცინვა. სიცილი მსაარულებას ბადებს, მსაარულება კი თვითონ შეადგენს კაცის სულის ერთს უბედნიერესს მდგომარეობათაგანს. „თითქმის ყოველს ესაზედო—ამბობს ოდისონი—შეეხებათ მეტადოთონ: მინდგრები იცინიან, ტყეები იცინიან“. ეს მოგზინება გვიმტკიცებს, რომ სიცილი თვითონ რაღაც მიმზიდველი, საყვარელი რამ ყოფილა. იგი ეცხოველებს კაცის სულს, ან მათ, რომ მწუსარებას უფენტეს, რადესაც სევდიო მოცულია; ან უღვიძებს სულის მოქმედების ძალას, რადესაც ტკბილით დაღლულია. სულტერის თქმით სიცილი ორნაირია: ან მარტივი (უბირადო), რომელიც შვება-ღსენისაკენ მიგვიზიდავს, ან რთული (ბირადი) ე. ი. შეერთებული გარეშე საკრძნობელსა და საცნობელთან. შესაქცევარი საგანი მარტო გვა-

*) გადმოყოფილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტინუს. ამ გვარს სიცილს ეწოდება უბრალო, უშინაო, მარტივი. შინ-აქით იმ სიგნს, რომელიც სასაცილოა და თანაც რამე ნაკლს, არა მოსაწონს შეიცავს, ეწოდება რთული, შინაგი სიცილი, რადგან ამ გვარს სიცილში მოქმედებს ჩვენი შინაგი სიმპატია ან ანტიპათია, ე. ი. ჩვენი სიკეთური „მე.“

აშკარათია იმისთანა კაცი, რომელსაც შეეძლება სიგნების სასაცილო მსგავსოა ბოგნა და ნახვა, მისთვის რომ სიგნებს თან ახლავს იმ გვარი მოულოდნელი მსგავსებანი, რომელნიც ჩვეულს მსედველობას უსასტუნანან. აქვე უნდა გასთქვათ შეკავშირებაც იმ გვარ სიგნთა, რომელთ შეერთება ან უბუნებოა, ან სასწაულია. ოთვალოვე ეს შეადგენს სასაცილოს ერსებას.

ბინგელის შესედვით ამ გვარი სუმრობა ჩვენ ბეკეგონებია მსაარულის კაცის თვისება, მაგრამ მსაარულება სასაითია; ხოლო სიგნის შესაქმელად მსარეთა ბოგნის ნიჭი კი — ჭკუის სიკეთერებაა, რომელთანაც შეერთებულან აგრეთვე მისი სხვა უმაღლესი თვისებანიც. კაცი, რომელიც სასაითით მსაარულია, ყველაფერს კარგი თვალით სედავს, თითქო კაციც და ქვეყანაც მისი გუნების ოთხალეთია; მისთვის ყველაფერი სალია; მას შეუძლიან იცინოს, მისთვის რომ სიცილი და მსაარულება თითქმის ერთი და იგივე, მაგრამ ამისთანა კაცი ტოტად შენიშნავს სიგნის სასაცილო მხარეს, ე. ი. მის მიერ ცნობისა და გაგების წინაალმდეგს, რადგანაც მას უნდა დიდი გამჭრიახობა, ზორს მეჭვეტელობა და მახვილი ჭკუა, რომელნიც მსაარულის კაცის სასაითს სრულიად არ ეთანხმებიან. ბინაქით, ვისაც დაცინვის ნიჭი აქვს მას სასაითის სალანუკეც ეტუობა და ღრმად მსჯელის ჭკუასაც ვრა.

კაცმა რომ ‡ბოგის სიგნის რამე სასაცილო ან დასაცინი, რომელიც ჩვეულის მსედველობის პატრონს შეუნიშნელი დარჩება, მაშინ ის სიგანი უნდა განიხილოს ყოველის მსრით, რისთვისაც საჭიროა მოგიჭრება და იშვიათი ჭკუის მახვილობა; კაცმა რომ შენიშნოს აგრეთვე ის მოქმედება, ან სასაითი რითიც ზორდება ნამდვილს წესებს და მერე ეს მოზორება წარმადგინოს სასაცილოდ, ამისთვის საჭიროა სიგნის სალი და სრული ცნობა, გამჭრიახობა, დამკვირვებელი სული და ცხოველი გამომსტაკვლობა. აქედგან ის ვზრა გამოდის, რომ ეს უკანასკნელი ე. ი. მახვილი დაცინვის ნიჭი იშვიათად გენიოსების ხვედრია, ამ გვარის ნიჭის

ნაკოფი შეიძლება მარგებელიც იყოს და მავნებელიც, როგორც სა-ზოგადოებაში, აგრეთვე მწერლობაშიაც; მაგრამ უანასკნელში უფრო დიდ კვალსა ‖ სტოვებს. დანტინა ყოველ ფილოსოფიურს დრწუნებასაზედ უფრო ძლიერად ირღვევს უგანო წინა-მოსაზრებას და მოქმედებას ბიოერებაზედ. დანტინული საკანი ჩვენს თავში მცირდება; ჩვენ მიერ საკნის ბეტოვის ტემპერამენტი აკარგება ის კეშიერიც, რომელიც საკანსა და ჩვენს შორის იყო. ნუ გიფიქრებთ, რომ დანტინა სრულიად ასწორებდეს გარეგნილს კაცს; ის უჩვენებს კაცს მხოლოდ ურიგო მხარეებს, შეიძლება კიდევაც აგრძნობინოს ამ ბოლო მხარეთა გამოცვლის საჭიროება. ეს ინარდი უფრო ძლიერად მოქმედებს გასასწორებლად ანად გარეგნილთა, რომელნიც სხვის მაგალითით მოტყუებულნ. დანტინა დამტანველი ‖ ინარდია აგრეთვე. იგი ‖ სძლევს კაცის ცუდს მხარეებს იქაც, სადაც სხვა ინარდი გამოუდეგრია. მეორე მხრით, დანტინა დიდად მავნებელიც იქნება, თუ იგი შეერთებული არ არის კეთილ-შობილს ხასიათსა და წმინდა ზნეობასთან, რადგანაც დანტინას შეუძლიან დაამტვრიოს ის, რაც ჩვენ საღვთად მიგვაჩნია. ფილოსოფოსი და ბოეტი დანტინას ხმარობენ ზნეობის სასარგებლოდ. სატირიკოსი და კომიკოსი მით ემსგავსებიან მორალისტ—ფილოსოფოსს, რომ ისინი ემსახურებიან ერთს და იმავე განზრახვას, მაგრამ სხვა და სხვა გზით კი მიალწევენ მას.. მორალისტი ან ზნეობის მოძღვარი მსჯელობით არწმუნებს ჭკუას, ეუბნება გულს. ბიჩი იქით კომიკოსი და სატირიკოსი დასცინიან ზნეობის უგანონობას და მით მიგვიზიდვენ ზნეობის სიმშვენიერისაკენ. განსხვავება სატირასა და კომედიას შორის ის არის, რომ კომედიაში ჩვენის თვალით ვხედავთ იმ ორიგინალობას, იმ ბიწიერებას, რომელთაც სატირიკოსი მხოლოდ ჩვენ ჭკუას წარმოუდგენს, კომიკოსები თვითონ გამოდიან სცენაზედ და თავის თავად წარმოგვიდგენენ კაცის ნაკლულოვანებას. ბოეტი კი გამოდის სცენაზე, შეგვაქცევს, ან მახვილის დაცინვით აღგვიძრავს სიძულვილს ნაკლულოვანების მიმართ. ჰქმენ ადგილად შეგვიძლიან კიეოდეთ სატირიკოს—მოშიერის და კომიკოსის დანიშნულება და მიმართულება. ორსავე უნდა ‖ ქონდეთ დამკვირვებელი სული, კაცის გულის ღრმად ცოდნა და ნაკლულოვანებათა სასატიროდ წარმოდგენის სელოვნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახვილის დაცინვის ხელოვნება მაშინ მოიტანს უფრო კარგს ნაყოფს, როდესა უკრთდება მაღალ გრძნობას, კეთილს განძრახვას და ნაშდვილს პატიოსან ტემს კაცის მოკალთობის მიმართ. ნამდვილს სტირიოსს და კომიკოს-მოშაირეს უნდა ეზიზღებოდეთ მათ მიერ გამოხატული ბიწიერება, მაგრამ თუ ეს ზიზღი არ გამომდინარეს კეთილის მიმართ მისწრაფებისაგან, თუ ისინი ე. ი. სტირიოსი და კომიკოსი ქმეულიერობას და კეტობრობას მიზანტროპებივით უყურებენ და არა კეთილის გულით, კეტთა მოყვარეობით და თუ მათ არ ჭსიმული ბიწიერება, როგორც კეტის ბედნიერების წინააღმდეგი, მაშინ ისინი მკითხველთა გულში აღძერენ მხოლოდ ერთის მოღრეუბლვის გრძნობის სიძულვილს, რომელიც კეთილს ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ სიყვარულის თანასწორი არ იქმნა. სიძულვილი სულს ავიწროებენს, სიყვარული კი ათვრთოებენს, მიიზიდავს მას კეთილის საქმელად. „ბულის სითბო სტირიოსის მუსა უნდა იყოსო“ ამბობს სულცერი. დამცინველი კეტი ყოველის კეთილის გრძობით, სიყვარულით და პატიოვის ტემით სავსე უნდა იყოს. ამისთანა დამცინველი სიზოგადოებს დიდს სარგებლობას მოუტანს და თავსაც არ იდეგნის, რადგანაც უმრავლესობა დაწუნებული იქნება, რომ ის ამ ნიჭიერებას კეთილ სინდისიანად ხმარობს. ის სტირიოსები კი, რომელთაც ჯილდად არ რგებიათ ეს ზემო ნათქვამი თვისებანი და თავის სურვილისამებრ განურჩევლად ჭმოვებენ ყოველს საკანში რახმე სასტიკოს ან დასტინს, სიზოგადოებას დიდს ვნებას მოუტანენ და თვითონაც მის მიერ სასძულველნი გახდებიან.

ქ. ტბილისი.

1886 წ. 28 სეკტემბერს.

თეკლათელი.

კ ნ. კ ა ა კ ო ს

შენის ნუკეშით აღარ მატკბობ,
აღარ მიგონებ
და შენს საამოს ტკბილსა ხმას
აღარ მაგონებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ არ გემდური ბედი მდევნის
შავი წყეული,
მით დაგავიწყდი მე ბედკრული
სევდის ჩვეული.

ვის რათ გინდივართ,
არ მოგალხენთ აწ ჩემი ენა,
ვის იამება სულ წუწუნი
და ბედის წყევლა.

ვ. ნინო ორბელიანისა.

სეკტემბერი 1886 წ.

თ ე ა ტ რ ი ს კ ვ ი რ ა.

ყვავილს ზამთარმა უსწრო.

(სურათი.)

პირველად მე შევხვედი ნინოს, ერთ მშვენიერ სიტკბოებით სავსე მაისის დილას. მზე მთლად შებურვილი იყო მსუბუქის ბურუსით და ათბობდა სურნელოვნებით გატენილს ჰაერს და რაღაც მომხიბლავ გულის გაბედის მყუდროებით ავსებდა კაცის გულებას. მკრთალის სხივებით განათებული, გარშემო გადაშლილი ბუნება, სიტურფით ამაყობდა. მთა და ველი, ხე თუ ბალახი, ვარდი თუ ასკილი ერთ გვარის სიკეკლუცით იჩენდა თავის სიმშვენიერეს და ახალს სამოსელს.

არავითარი სიო არ არყევდა ბუნების სიმშვიდეს.

მხოლოდ ერთ პატარა ხეხილის ბაღში, დიდ კაკლის ქვეშ, დუდუკი დაგუგუნებდა და მას ბანს აძლევდა ხის ქვეშ მომდინარე პატარა რუს ჩქრიალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედუდუკეებს გარშემო შემოსხდომოდნენ რამდენიმე კაცი და ქალი; ესენი სუყველანი ჩუმად ისხდნენ და მხოლოდ უძრაველ თვალს და ყურს აძლეედნენ სრულ თავისუფლებას.

ამ დროს მე შემიყვანა ამ წალკოტში, ერთმა ჩემმა ამხანაგმა და ჩემდა სამწუხაროდ ამითი შეერყია მსმენელთ კმაყოფილება და დამკვრელების არტისტიული გატაცება.

— ბოხოეთ იცნობდეთ: თავადი ალექსანდრე ა—ნი, თავადი ნიკოლოოზ ბ—ნი, თავადი მიხეილ ბ—ნი, და სხვანი რამდენიმე თავადნი და თავადის მეუღლენი გამაცნო ჩემმა მეგობარმა მე ამ დღეს, მაგრამ მე ამ დღესვე გავიცან თავადის ასული ნინო ზუმარიძისა, რომელმაც სრულიად წაშალა ჩემ თვალში დანარჩენის სახეები.

ეს კეკლუცი, თექვსმეტის წლის უმანკოება შემკული იყო ყოველის მშვენიერებით, რაც კი დედაკაცის ბუნების საუკეთესო სამკაულს შეადგენს. ნინო ნაზად წამამიდგა ფეხზედ და წრფელის მორცხობით ხელი გამამაწოდა.

მე არ მიყვარს დედაკაცი, რომელიც ძალით, ღონით, სიტყვით და მოძრაობით საესე არ არის ცხოვრების ავ-კარგიანობასთან საბრძოლველად, მაგრამ ნინოს ჰაეროვანმა სიტურფემ სულ დამავიწყა ჩემი პრინციპები.

მე იმაში ვხედავდი, ერთ იმ იშვიათ ტიპთაგანს, რომელნიც ათასში ერთი ღა მოიპოვებიან ჩვენ ქვეყანაში და დაკვირვებით ვშინჯავდი მის არსებას.

ის იყო ნაზი, როგორც ზეფირი, მორცხვი როგორც უმანკოება, მშვენიერი როგორც გაზაფხულის ყვავილი და ტკბილ ხმოვანი, როგორც იადონი.

ტანთ ეცვა ციაგი ლაქვარდი კაბა, ციაგივე ვარდის ფერის სარტყელ-გულის პირით, თავზედ გადაშლილი ნაკერი ლეჩაქი, რომელ ქვეშიდანაც უხვად გამოიყურებოდნენ წაბლის ფერი კულულები. შუა ტანისა, მშვენიერად მოყვანილი, იმის მოძრაობა საესე იყო სიტურფით და კეკლუცობით. ამის პირის ფერი უფრო მიმგზავსებოდა ასკილის ფურცელს, ვიდრე მაისის ჩაჯიერებულს ვარდს. ყვავილს წაბლისფერივე კულული-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანი თვალები მთლად გახვეულნი იყვნენ გრძელს და ხშირ წამწამებში. მაგრამ დამაგვირგვინებელი ნინოს სიტურფისა იყო მცირე-ოდნად ღია ორი პაწია ვარდისფერი ტუჩი, რომელზედაც ყოველთვის სიტკბოების და სიკეთის ღიმილი გამოსჭუდა და თქვენში, ნინოს სიმშვენიერით ახტაცების მაგივრად, სძრავდა რაღაც გამოურკვეველ თაყვანის ცემას მისადმი. ნინოს ცქერის დროს კაცის გული სრულიად დამშვიდებელია, მხოლოდ თვალი სტკბება ბუნების საუცხოო ქმნილებით. თქვენ გინდათ, რომ შეუწყვეტლივ უყუროთ იმის კეთილ არსებას და დასაკუთრება კი თქვენს დღეში არ გაგიელით გულში.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მშვენიერად ცეკვავთ ლეკურს, უთხარ მე ნინოს, როდესაც ჩემი მოსელის შემდეგ სტუმრები აიშალნენ და მედუდუკეებმა ლეკური დაუკრეს.

— არა, თქვენმა მზემ, მორცხობით მიპასუხა იმან. ლეკურს მარდობა უნდა და მე ძალიელ მძიმე ხასიათისა ვარ.

— ოჰ, თქვენ მოძრაობას, როგორიც უნდა იყოს, თუ გინდათ ძალიელ მძიმეც, მაინც სულ სხვა სიკეკლუცე დეტყობა, უპასუხე მე. ნუ დაიზარებთ და თქვენის ხელის გაშლით გვასიამოვნეთ.

— ნინო მთლად აენთო, თავი დაღუნა და ისეთის სინაზით გაიღიმა, რომ მთელი ჩემი არსება ნეტარების კმაყოფილებით აავსო.

— ბითამაშებ, თუ გნებავთ, მაგრამ ნუ დამცინებთ, მითხრა იმან და გავიდა წყნარად. იმის მოძრაობა იყო მძიმე კი არა, მდორე, მოციმციმე, დარბაისლური და ლაღი. ყოველი იმისი ხელის აღებ-დაღება საკვე იყო სადობით და ბუნებრივის სიკეკლუცით, ის არ ცეკვავდა გატაცებით—მარტო ნერვების მოწყალებათ, არა, ის ცეკვავდა მოფიქრებით, გულხმიერად, რომ ამითი ესიამოვნებინა მათთვის ვინც ამის ცეკვას სიყვარულით საკვე თვალებს ადევნებდნენ.

— ბულით გმადლობ, თავადის ასულო ნინო უთხარ მე ამას რომ ერთი კიდეე მაღირსე მენახა ნამდვილი ქართველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის ცეკვა და არა გრეხვა-პრანჭვა, რომელსაც ეხლა ლეკურს ეძახიან.

— მაგას რას მიბრძანებთ, ჩემო ბატონო; ჩვეულებრივის სიწრფელით-მითხრა იმან, განა ნატო, ანეტა, სონა ჩემზედ კარგად არა თამაშობენ? ჩემი თამაშობის მოწონება თქვენის მეტის არავისგან გამიგონია. და ეს სიწრფელე ნამდვილი იყო. ნინო იყო სადა, როგორც ნამდვილი ბუნების შვილი და თავმომწონებით არ მოსდიოდა თავისი თავის დამდარება, რომ ამითი უფრო უხვად გამოეწვია მაყურებლის ქება და ალერსი.

ჩვენს ლაპარაკს დიდის კმაყოფილებით ყურს უგდებდა ნინოს მამა, ბრიგოლ უხმარაძე, რომელიც ჩემი ძველი მეგობარი და შორეული ნათესავი გამოდგა, და ღიმილით მითხრა იმან: მაშ ნინოს სიმღერას რომ გაიგონებთ რაღას იტყვით მაშინ, როდესაც მაგისი თამაშობა თითქმის საქები არ არის და ეგრე აქებთ.

— როგორ, განა ნინო იმღერის კიდეც?

— დიაღ, ჩემო ბატონო, მითხრა იმან ახტნცებით, ნინო მღერის ისე რომ მამის გული ადუღდება ხოლმე და თვალებზე ცრემლები მომდის...

— მამა, კმარა გენაცვალე მაგგვარი ჩემი ქება! ბატონ ლევანს ეგონება, რომ მე მართლა მაისის ბულბული ვარ და როცა ნამდვილს გაიგონებს, მაღლობის მაგივრად, გაჯავრდება.

— შენ თავ-მოყვარე არა ხარ, ჩემო მტრედო, წაუტუტუნა მამამ და შორს გადგა. ნინოს გარს შემოეხვივნენ სუყველა სტუმრები. მედუდუკემ სალამური მომართა.

ნინო დიდ ხანს იყო გაუბედობით გამშტერებული. ბოლოს ძლივს-ძლივობით, ხმის კანკალით წარმოსთქვა: „შავი შავ-შვნი, შავს ვალიას შემსხდარნი“ და კიდევ ჩაჩუმდა. ჩვენც ჩუმად ვიყავით. მხოლოდ სალამური მცირეოდენად შტევნდა და ნელა-ნელა იწყეოდა ნინოს ხმის ბანის მისაცემად. ნინომ განაგრძო ლექსი და ამ ჯერად ისინი ხმა იყო სავსე, სრული და შეუდარი. მე ვერ ვიტყვი, რომ ნინოს ხმა გასაოცარი ყოფილიყოს თავის ძალით, სიმაღლით და გრძნო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბით, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ მე გამეგონოს რამე იმის დარი.

იმ ხმით შეიძლება მხოლოდ ლოცვა, ღალადი, ნანა, ოცნება და არა ახტაცება. იმ ხმაზე შეიძლება დამუნჯდე, თვალიდგან მდუღარება გცვიოდეს, გულის ცემა შეგიდგეს, მაგრამ მოძრაობა, ტაშის კვრა, თვალების ეშხით ანთება, გულის აჩქროლებელი ტოკვა, შეუძლებელია.

ნინო იჯდა თავ ჩაღუნული და თითქო თითონვე სტკბებოდა თავის ხმის ჰარმონიით. არც აჩქარება, არც ეშხის ალი არ ანათებდნენ იმის პირის სახეს, ის მღეროდა მხოლოდ იმას, რასაც ხმა აძლევდა და არა იმას, რასაც, გრძნობდა.

ნინო გაჩუმდა და ჩვენც ჩუმად ვიყავით: ცად გატაცებულნი იადონის ლუღუნით ვერ ვახერხებდით ძირ ჩამოსელას.

მშვენივრად მღერის, მშვენივრად! ცხენივით დაიხვიხვინა ერთმა სტუმართაგანმა და მხურვალედ ხელი ჩამოართვა ნინოს მამას.

ეს „მოხვიხვინე“ პირველად შევნიშნე ამ საზოგადოებაში და გოცებით თვალები დავაშტერე. თითქო არ იყოს ამისი სახე მეცნო. ოცტახნის შემდეგ მე ცხადად წარმომიდგა ქალაქის ერთ-ერთი საზოგადო ბაღი, სადაც ღვინით შეზარხოშებული ყმწვილი კაცები თავის გულის პასუხს ერთმანეთს თავხედურად უზიარებდენ და მათ უკან ვიღაც ჩასაფრებელი იყო ლობის ძირში...

ბიჭო, ფთხილად უთხრა ერთმა მეორეს, ხომ იცი ეხლა ლობეებსაც ყურები ასხიათ და თვალებით ამ გმირ კაცზე უჩვენა.

სუყველანი წამოხტნენ, მაგრამ იუდამ ლობეს გარედ გადავარდნა ინება

ეხლა ნათლად წამომიდგა ის წამი, როდესაც ეს ვაჟბატონი ორად მოკეცილი, ხმლით შეჭურვილი, ამოტურტლული ბალახ-ბულახში, შიშისაგან შეთრთა და კუდა ძაღლისავით ლობეზედ გადახტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეს ვინ არის? ვეითხე ჩემ ამხანაგს. საინდგან გაჩენილა აქა ამ პატიოსან საზოგადოებაში?

—ეგ ივანე ტაბ—ძეა, ამ სოფლის მღვდლის შვილი, მიპასუხა იმან. ბანა დიდი ხანია... რაც რომ სწავლულს განათლებულს კაცს პატიოსან საზოგადოებაში ყოფნას უკრძალავე?

— არა ეგ რა სათქვენია, მაკრამ ეხლო რას აკეთებს ეგ პატიოსანი...?

მე არ მესმის რას ამბობ, მითხრა ჩემმა ამხანაგმა, ეგ ამ მხარეში ძლიერ მიღებული ყმაწვილი კაცია. მაგან გაათავა ქალაქის სასწავლებელი, ერთი თუ ორი წელიწადი დაჰყო აკადემიაში და მასთან ძლიერ შეძლებული კაცის შვილია და აბა ამ თვისების პატრონს ვინ არ მიიღებს მაგას საზოგადოებაში..ნიიღებს მეთქი, მიიღებს კი არა კიდეც ეძებენ, რომ მაგან გააბედნიეროს საზოგადოება.

— მაშ მაგან სამსახურს თავი დაანება?

— შთოვოდ, იმიტომ რომ ეხლა უფრო შემოსავლიანი ალაგი უშოვნია, მიპასუხა ჩვენს ახლო მდგომმა ნიკოლოზ ბა—ძემ, დაცინვით.—აქ მოვიდა წელს „დაჩათ“ ერთი ვიღაც ბენძღი დედაკაცი, რომელსაც დიდ სიმდიდრის პატრონს ამბობენ და მაგას მოწყალების თვალით უცქერისო.

— როგორ, ქერიეა?

— ხა, ხა, ხა.... განა მოწყალება მარტო ქერიესაგან მიიღება... სიცილით გამაწყვეტინა ნიკომ და წამიყვანა ნინოსთან, რომელსაც ამ ჟამად ზემო ხსენებული „მოხეიხვინე“ რაღასაც ეგაასებოდა.

ეს იყო ერთი რაღაც ახმახი, მხარ-ბეჟიანი, წოწოლა დიდი თავი შავის გრძელის თმით ჰქონდა შემოსილი, გძელი წვერ-ულვაში და დიდრონი სისხლიანი წურბელივით გაესებული სხვილი ტუჩები გაუმაძღარ პირუტყვის შეხედულებას აძლევდნენ იმის მწვანე ვიწრო თვალები და ნისკარტიანი ცვირი იქნება ურიგო არ ყოფილიყო სხვის სახეზედ, მაგრამ იმის ‚მიმზიდველ შეხედულობას, აორკეცებდნენ. დიდრონი წვეტიან ფრჩხილებიანი ხელები ძრიელ ახლო ეჭირა იმას ნინოსთან და ამ შემთხვევამ მთლად აამღვრია ჩემი გუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნება. მე შეურაცყოფად მიმაჩნდა ამ ბატონის სიახლოვე იმ ზეციურ ქმნილებასთან და მზად ვიყავ ვარდისთვის ყორანი მამეშორებინა, მაგრამ ამ დროს ნინო წამოდგა და თითქოს დაღალულ, დაწყვეტილი შინისაკენ გაეშურა.

* * *

შემოდგომა იყო წყნარი, მშვიდობიანი, მოსავალი მრავალი და ხალხი მხიარული. ᲧᲝᲕᲔᲚ ნაბიჯზედ თქვენ შეხვდებოდით შეზარხოშებულ მექორწილეთ, რომელნიც ქეიფით და ღრიანცელით მაყრად მისდევდენ „ნეფე დედოფალს.“

შუა დღე იქნებოდა. ᲬᲘᲜᲓᲐ ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ ეკლესიის გალავანში ორი ფაეტონი იდგა და მრავალი ხალხი ტრიალებდა. მე მიეხედი რომ ქორწილი საინტერესოა და რის ეაი ვაგლახით მიეწი-მოეწიე ხალხი და ეკლესიაში შეველ.

ᲢᲠᲐᲞᲔᲖᲘᲡ წინ დავინახე მე ნინო უხმარაძისა საპატარძლოდ მოართული, გაფითრებული იმისი სახე აღარ ირჩეოდა თეთრ ტანისამოსთან. ეცან და ვერც ეცან მე უებრო ნინო. ᲘᲛᲘᲡᲘ მუდამ ჭამს მოღიმარი, მცირეოდნად გაღებული ბაგე, მწუხარებით მაგრა იყო მოკუმული, სიტკბოებით სავსე მშვენიერი თვალები, გაშტერებით დასცქეროდნენ დედა-მიწას. ᲥᲔᲚᲣᲪᲘ ტანი თითქოს მოჰბუზოდა და მოშვებოდა. ᲘᲡ მარმარილოს ნაქვთიანი, უნძრეველად, უაზროდ იდგა ივანე ᲢᲐᲑ—ძის გვერდით.

ᲢᲐᲑ—ძე კი ბედნიერებით თრთოდა. მოუთმენლობით სავსე იყვნენ იმისი მწვანე თვალები, იმისი გძელი ფრჩხილები მზად იყვნენ თავისის დანიშნულის შესაპყრობლად.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ დანახვაზედ მინდოდა დამეყვირნა და მით შემენძრია ცა და ქვეყანა ამ საშინელებისთვის, ამ უმანკოების ამ სამოთხის ყვავილის დახელთებისთვის... მაგრამ შუბლზე ხელი შემოვიკარ; გონებას დავეკითხე და გარეთ გამოველ.

მე უაზროდ წაველ უხმარაძიანთ სახლისაკენ, თითქო იქ მინდოდა შემეტყო ამ უცნაური ქორწინების მიზეზი. ᲖᲠᲘᲒᲝᲚ უხმარაძე ბოლთას სცემდა თავის აივანზედ. ის იყო მაღალი, მშვენიერი შეხედულობის ეაჟკაცი. ᲗᲐᲕᲘ ამას ყო-

ეელთვის მაღლა ეჭირა, თავის განიერად გადაშლილ მხარ-ბეჭზედ. ტანთ ეცვა ლაჟვარდი ხავერდის ქულაჯა, შავი კაბა, ყომრალი განიერი შარვალი თეთრს მაღალ წაღებში ჩაკეცილი, პატარა ბუხრის ქუდი კოხტად ჰჭონდა თავს წამოდებული, როგორადაც შეხედულობა იყო ამისი უზადო, ისედაც ყოველი ამის განძრახვა. ორმოცდა ათის წლის ამის ჭაღარას ჯერ ჩარქი არ მისცხებოდა წუთი სოფლის მაცდურობისა. ეს ყოველთვის ამობდა იმას, რასაც გრძნობდა და კიდეც სჯეროდა ის-ვინც რას არწმუნებდა. საეკეოს არც არას იტყოდა და არც სჯეროდა თუ სხვის ნათქვამი საეკეო იქნებოდა.

ყოველთვის კმაყოფილი თვისის სინიდისის და ტკბილის ლუკმისა, ბრიგოლ ყოველთვის მხიარულად და კმაყოფილებით ატარებდა თავის ცხოვრების მიმდინარეობას.

მაგრამ დღესკი ჩვეულებრივი კმაყოფილება განეფანტა ამის ქალის „გაბედნიერებას.“ შეეშფოთნილის სახით, თავ-ჩაღუნული საჩქაროდ დადიოდა და შავ ფიქრებში იყო გართული.

ეფ. გაბაშვილისა.

(შემდეგი იქნება).

ლ ე ქ ს ი

მე თუ მკითხავ დედა ჩემო
ვინც რომ მიყვარს ის მინდა,
თუ შენ ჩემთვის ქმარი გსურს
სხვა ნურავინ ნუ გინდა.

—

ნუ წამართმევ იმ კაცსა
დედას ვუსაცვალები,
ვინც პირველად აღმინთო
გულში ტრფობის ალები.

ვისის ეშხით ვფლობილვარ
იმას ვერ მოვშორდები,
სატრფოს ვერ უღალატებ
სხვას ვერ ჩავეკონები,

—

ბუნებამ მისთვის შემქნა
ვის ტრფობამ დამიმონა,
ვისიც გული და გრძნობა
ჩემს გრძნობას შეეწონა.

—

ჩვენ ერთის ბედისა ვართ
ერთმანეთის მსვედრი ვართ,
მტკიცე სიყვარულითა,
მაგრად გადაბმული ვართ.

—

ვერ დაარღვევს ჩვენს კავშირს
ვერა ვვარი ძალები,
დამიჯერე მართალს გითხრობ
დედას ვენაცვალები.

—

რისთვის ვინდა წამართვა
ამ ქვეყნად ნეტარება,
და გამსადო მის ცოლად
ვინც რომ მე მეჯავრება?!

—

მაგას ნუ მიქ ღვთის გულისთვის
ნუ მომიწამლავ სულსა,
ნუ მაშორებ საყვარელს
ნუ დამიჩაგრავ გულსა.

ქაიხოსრო ტელოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიელ ეკოსტა.

(გაგრძელება).

სილვა.

ჩვენულების მებრ

ოსეისუელთა ვრცხსავთ ჩვენს თავსა;
შენ ამბარტავნობ. შენის ტოდნითა;
მე კი—რადესაც გონების თვალით
ესინჯავ ბუნების მიმდინარობასს,
ზამთარს, გაზაფხულს და შემოდგომას,
რადესაც ვიდებ თვალებზედ შუშას
იმა წერტილის გასარჩეველად,
რომელიც მოჩანს იქ, შორს, სატურნზედ,—
მაშინ ვგრძნობ, რომ მეც, შენც და ყველა სხვაც,
ვით საკუთარი კერძო არსება,
არა რა ვართრა და რომ ჩვენ ვცხოვრობთ
ვითარცა რგოლნი ერთის ჯაჭვისა,
თავისუფალნი მხოლოდ ბუნების
წესის წინაშე. რა ასე ვფიქრობ,
არ შემიძლიან ჩემი გონება
დაგუმორჩილო იმ ენად ამის,
რაც სწამდა ჩვენსა მამა-პაპასა,
რაც სიკეთეთ ანმაგლობაში
იყო უმრავად და შეურეველად—
არ შემიძლიან დაგუმორჩილო
იმ ენად, რომ მე თქმა არ შემეძლოს:
„ეჭვნება ეს სულ შეცდომა იყოს.“
მაგრამ ესენ ხნის განმაგლობაში,
ხომ უცხოვრია ამ შეცდომასა
და რანდენის მიმიიან სალხინის
იგი ეოფილა ნუგეშ-მცემელად!

ამა, ურიელ, შენმა რწმენამ
ერთს ვისმეს მაინც სცა რამ ნუგეში?
სინდისით სთქვი—ან თვითონ შენ
ჭეშმარიტი მასში ბედნიერება?

ურიელ.

ოფელიეს ეგ შესაძლო არი;
იმენება ისიც მარიამი იყოს,
რომ იგი ჯოსი, რომელიც ბრმასა
სამი ათასს წელს გზას უჩვენებდა,—
ჩვეთვალოთ იმ ბრმის ნამდვილ თვალებად.
ის ყველრჯენი უსინთლოსა
გზას უჩვენებდა და ატარებდა,
ის იყო მხოლოდ მისი თვალები...
მაგრამ უეცრად უსინთლომა
ისიდა სსიენი,—თვალთ აესილა
და სედავს თვალით და არა ჯოსით.
გამოუთქმელის ნეტარებითა
იგი უყურებს ბრწყინვალე მზესა.
პირველად მზე მას თვალებს უნელებს,
მას უგულთბერი სოფლრადა სჩანს,
არ იცის რასაც სედავს რა ჭქვიან,
იგი ხელითა ეხება სგენებს
და ხანდასანა კიდეც ბორძიკობს.
მის ახალული ახლად თვალები
ჯერ ჯოსისთვის არ გაწურთნილან,
რომელიც ყველას ბუნდად სედავდა...
რომ მაშინთვე არ გვნიშნებს ჩვენ
სიმართლე ქვეყნის ამოგნებასა,
რომ თვალ ასელილს არა ჰქვს მკვიდრი
პირველი ბიჯი და მოძრობა,—
ნუთუ ამისთვის რასაც სედავს
უნდა ჩასთვალოს მან მოჩვენებად
და ახალება თვისის თვალების

მომაკვდინებელ ტოდკოთ? არა,
არა, დე-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრუ-მოწმენებას, შეცდომილებას;
და ამისთვის რომ ერთი მოგვეღო
და მეორე კი ესრი გვეყო,—
ვეღარ ითვალ ესრ ჩვენს ასაკობას,
ესრამედ ჩვენის მშობლების სიკვდილს,
რომ მოგვეკმოდ თავისუფლება.
მაშინ წადი და ადმსრთე დრეშა
შენთა ამოდთა და შენთა ასრთა!..
ოჰ, ურიელ, შენ ოთვალეე ეს
ნუ თუ გვონია მოჩვენებათა?
ნუ თუ შენს გულში სრულიად ეჭქრა
ოთვალი გრძნობა სიბრძნელისა?
ნუ თუ გულ-გრილად უნდა უყურო
ავდითისა და მის ამბის ტანჯვას?
გეკვდრები შენ მოთიქრეკი
და გადასწეტე—ვინ უნდა გლეიოს:
ღალმა გონებამ თუ მოყვარულმა
გულმა? შენ თვითონ ვანსაკე კარგად
და მოიქეცი ვითა ვიბრძანოს
ბატიოსნების ალუმალმა სმამ. (გადის).

გამოსვლა მეხუთე.

ურიელ (მარტო), შემდეგ სვიმონი.

ურიელ.

ნეტავი ეს ხმა მე რას მიბრძანებს?..
ესრ, ესრ მეტყვის მეს, რომ სიმართლემ
ხიეყვრულის წინ თავი დასვროს..
ოჰ, მიეკვრს, მიეკვრს ავდითი გულით,
მაგრამ ჩემს თავს თვით შევიზიზღებდი.
რომ დადგეს ვითა წმინდა სანთელი,
რომ ანკვალელი მწყემსი ქალიკეთ
დაგაწყო ნაზსად ოხვრა და კვნესა.
ჯერ ვირწმენო და მერე ესრ ვყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგე მხდლად ჩემის თავის წინაშე
ბაგსტეხო ფიცი? ოჰ, არა, არა!
სულის სიტურფე—ჩვენი რწმენაა;
ის საბეტიო ჯვარია ჩვენთვის,
ჩვენსა გულზედა ჩამოკიდული,
არა რომელმე მეფის სელით,
არა ორდენთა კავალიტულისგან;
ის გმირის სელში იგი დროშაა,
რომელსაც გმირი თავს ზედ დაეკლვეს;
იგი ჭმნის ღარაბს დიდებულ კაცად
და ამდენს ბერბსა, რომელსაც კაცი
თვითვე შემწეკვლვეს, თუ ამა რწმენის
თვით შეაქმნება ეარ-მოფველი...
დრო-ბამოშვებით მესმის მე ეს ხმა:
„ბული ჭკუაზედ სამედაა;
ვით ანრი, ტრფობაც არ შესცდებაო“, —
სხვაფერივ მოქცევა არ შემიძლია!
აქ რაინდული ამბობაა:
ეს სიმეგე მიმდევს ხელში რაზეს
და ბიერს უკუმვეს ხმარცხენია შაეს...
თუ რომ ვინმე წინაშე ვსტეფი,
ხეობრედ წინაშე წმინდის ხმართლის.
ბერ, ბერ ერთი მდგ�eი მე ეხლა
ბერ მოიქეცინეს, რომ ჩემი რწმენა
შეცდომა არის (ცასვლის ამარობს).

ხვიმონ (ბერების ბერეკმ)

მობრძანდი! ივდითს

შეკუტეობინეთ.

ურიელ.

ვიდეც არიან!..

ფარისეველ და ლეთის მოსაფოთვის,
აწ ჩემი ხანე შესაზარია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვიმონ (კარების გარედან)
მობრძანდით შინა; აქ მოიცადეთ! (კარები იღება).

ურიელ (დაინახავს შემოსულებს)
ოჰ, ღმერთო ჩემო!.. დედა ჩემია!

გამოსვლა მეექვსე.

ესთერი, ავოსტა, რუბენ, ოდგედ (ესთერი უსინათლოა და იგი შემოჰყავთ ურიელის ორს ძმას)

რუბენ.
აქ დაჯექ, დედა... (ჩამოსვამს სავარძელზედ).

ესთერ.
მერე, იგდითი
შემოვა აქა?

იოველ.
ჩვენს ვინაობას
ჯერ არ კცხადებ.

ესთერ.
ოჰ, რომ შემეძლოს
მე იგდითისა დანახვა!

ურიელ (ესთერის წინაშე დაიჩოქებს).
დედა!..

ესთერ.
ურიელ! შენა? შენი ხმა მესმის...

ურიელ.
ბანა დაწყეველილს შვილს კიდევა ხცნობ?

ესთერ.
აი შენი თმა... წვერი... ლოყები...
მათზედ ჩამოგდის მდუღარე ცრემლი...
დიაღ, შენა ხარ... დაწყეველს, შვილო,
არ შეუცვლიხარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუბენ (მოწყენით).

ივდითისთვის

ჩვენ ვქ მოგვდით, დედას უნდოდა
ის ქალი შენ რომ ასე გაბედვით
გაბოგიცხვდა თვის სიყვარული...

ურიელ.

ენახა? მითხარ, რუბენ, ენახა!
ახ, რომ შეგეძლოს შენის თვალითა
ნახო ის, დედ!

ესთერ.

გაკვიგე, შვილო,
რომ იგი სახით მშვენიერია,
მაგრამ ის იმით უფრო ტურფაა,
რომ შენის უბედურობის დრახა
მან თავი თვისი გაკუთვნა შენა...

ურიელ.

მერე ივდითა შეტეობინეს
ოქვენი ვქ მოსვლა? დიდი ხანია
მას შენი ნახვა უნდოდა, დედ,
მაგრამ მე უარს ვუბნებოდი...
ოჰ, ვინ მადიერებს ამ ნეტარებას,
რომ მე ივდითი დავსახო ჩემად.

ესთერ.

მე ეგ წინადვე ვიტოდი.

ურიელ.

შენა?

მერე სიდამ?

იოველ.

დედ მაკითი

იმას ამბობს, რომ რაკი დაგწყევლეს,
ჯერ თუ ამან გაგეარა ივდითს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ არსად ან შენს უარყოფაზედ
არა ისმის რა.

რუბენ.

ჩვენ ან მოვედით
კიდევ მისთვის, რომ ამსტერდამიდამ
გაგში წავიდეთ ჩვენის დედითა
და იქ დავსახლდეთ.

ურიელ.

თქვენ სუფევლანი
ამსტერდამიდამ გაგში მიდიხისართ?
ჩვენის ბრმა დედით?

ესთერ.

ეს, თითქოს ჩემთვის
ორივე ერთი არ იყოს, შვილო!
იქაც კოფიქრებ, რომ კითომ ან კარ...
როგორათაცა აქაც მგონია,
რომ მე კვალად კარ ტაგის ნაბიჩზედ!..

ურიელ.

მერე რა მოხვდა? რისთვის მიდიხარ
იქ?

იოველ

მოგვიტევე... ამაო..

ესთერ.

გაჩუმდი!

რუბენ.

მამისაგან ნაანდერძები,
გაშრობა ჩვენი ან მიდიოდა
ძალიან კარგად...

ურიელ.

და შენც შეიქენ
ბატონეულები ბიჩი ბირკაზედ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИОЗЕЛ.

უეცრად—ესლა...

УРИЕЛ.

გდეგნიან, განა?

ჩემის გულისთვის?

ИОЗЕЛ.

თითქოს რომ ვგრე.

რაკი რომ შენმა მტრებმა გაიგეს,
რომ შენზედ წუკლა არ იმოქმედებს
და კერასფრით გზას კერ შეგიკრავენ,—
ახლა შენს ჯვარსა ჩვენზედ ერიღლობენ!

ЕСТЕРА.

ჩემზედ კი არა, ჩემზედ კი არა!

РУБЕН.

ჩვენ ყოველის მხრით შეგვიწროს:
ადარც ხმას გვეტყვენ, არც თავს გვიკრავენ,—
ამ გვარ პირობით შორის კაცრობა
შეიძლება-და კარგად წაიდეს?
აი ამისთვის წასვლა ვარჩიეთ.

УРИЕЛ (თავისთვის)

ოჰ, ადასტერო!

ЕСТЕРА.

სიამოვნებით
შორ გზას მივდიარ, თუნდ რომ მომისდეს
ტურაკ ხდვაზედ ადრინდებულად,—
მაგრამ მე ამით კერ ვიტყვ ნუგეშს!
შე იქ კერ ჭეშკებ, ჩემო ურიელ,
თავისუფლებას და მოსვენებას,
სადაც ცხოვრობენ ებრაელები...
რაცა მომიკა სიკვდილის ყამი...
მე ბედნიერ ვფიქრობ, რომ თუ სიკვდილი
თვალებ ასულიდს თვალებს უხუჭავს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე უსინათლოს ამბისელს თვალებს
და დავინახავ კვლად ჩემს შვილებს...
შენ კი ამბად დაგიწყეს ძებნას...
მაინც არ მოდის მანასეს ქალი...

იოველ.

კარი გაიღო...

რუბენ.

ფეხის ხმა მესმის...

გამოსვლა მეოთხე.

ბგინიგე და ივდით.

ივდით.

პატივცემულნო პატრონებო, თქვენ
მოსულხართ ჩემსა სანახავად
და ეს სათნოებიმოსუტიტ...
(აცქერდება ყველას; ერთს წამს სიჩუმეა).

ურიელ!..

აქა... დედა ჩვენი!... (ხელზედ ჭოცნის ესთერს).

ესთერ.

არა, არა...
მე მომეტ ნება, მე, ანგელოზო,
პირს დაგიოტნო...

ივდით.

დიდიხანია,
დიაღ, დიდიხანია, მინდოდა
მიმეღო შენგან ლოცვა-გურთხევა
და შენში შენი შვილის მსგავსება
ჩანსა ჩემის თვალითა.

ესთერ.

აგრე!
აგრე შეიარქე ჯოხტა, შვილო!
ეი მაგისთვის მიყვარხარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივდით.

დედ,

მოგვ დრო, როცა იმის წინაშე
ყველანი მდაბლად თავსა დაბრიან,—
ჯერ-ჯერობით კი მას ჩვენის მეტი
არავინა ჭეშვს...

ესთერ.

ოჰ! ჩემო ივდით,

რა ტკბილად ყოერენ შენი სიტყვები!
ჩემს უსინათლო თვალებში ეხლა,
ეგ შენი სახე თრთის და ციალებს...
ეერე რა? როცა სიკვდილის ყაბი
მოვიგვ, მაშინ ურიელს თვით შენც
არ გაინდერძებ.

ივდით.

თვითონ მეც, დედ?

ურიელის ცოლს?

ესთერ.

ურიელის ცოლს?

შენ ვერ გახდები იმისი ცოლი...
შვილო, შენს მშობელს ნუ გაჯავრებ;
ნუ გაიქცევი მამის სახლიდან...
შენ ერთად-ერთი ჭეშვხარ მამაშენს—
ამასაც მხოლოდ ერთი ქალი ჭეშვს!

ივდით.

როგორ?.. ურიელ?.. რას ამბობს ესა?..
შენ... როგორც სჩანს... ეარი გითქვამს...

(დიდხანს უყურებს განცვიფრებული).

ოჰ, დმერთო ჩემო! მე კი მეგონა,
რომ ამ მხურვალე სიყვარულისთვის,
გპოვებდი ქვეყნად ბედნიერებას!

(დაეცემა ესთერის წინაშე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურიელ (ებრძვის თავის თავს, იგი აღელვებული ყურეს დედას, ივდითს და თავის ძმებს, რომელნიც დაღონებულნი დედის სავარძლის უკან დგანან; იქით).

ოჰ, სიღვა, დიაღ, შენ მართალი ხთქვი.
ოჯახის კეშარის ხალხი ჭატეს სტეს: (ხაშინელის განწირულებით).

რას დგეხართ ეგრე გეჩუმებულნი?
ხოქვეთ! მე ამდენსა ტანჯვა-წამებას
ვეღარ ვიტან..

ივდით.

დედ!

ამას ჩვენ აღარ ვუეკერვართ..

ურიელ.

ქოფაკვდინელი

შხამი ახხია ამ ჩემსა გულში...
ვეთ დაჭრიდს ნადირს ბღავიდი მწადის...
ოჰ, ნუ მიეურეთ სიბრალდულითა!
ოგი ტრემლვბი, რომელსაც ეწ ღვრეთ—
სასარულია, ბედნიერეა,
ამა ტეტლთანა შედარებითა,
რომელიც ჩემსა გამშრალს თვალებს სწვამს..
თქვენ ხმას ერ იღებთ?... მწუხარენი ხართ?...
ჩემგან მოღითთ ხაზარელს ღვაწლსა?...
რომ მე ბონება შეგწირო გულსა
და ჩემი წმინდა რწმენა-სიყვარულს?..
ოჰ, სულო ჩემო, ამაო, ზვავო!
ეგრე ყალსზედ რისთვის დგეხარ?
შე ხაზარელო, დამშვიდი, ემარ!
დანანებეი თავი ბაღალთ ხეენას...
იქეც ზიადა... იტოტე ქირსა—
ბაბლა ბახარე თავი მიწამდის
და უფრო ბაბლა... ბაბლა... ოჰ, წყევლვე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ ისა, ის, სიყვარული,
მდუმარეებითა რომ შეიმტკერის!
ვით დავხწეთ მე ამის თავი?..
ვინ მიხსნის ამის მუნჯ-თავლებისგან?..
დახუჭეთ თვალნი!.. შენც უსინათლო,
დადაე, დახუჭე... ახლა მშვიდობით...
გამიშვით... მიგვლ... მიდგარ... მიგვლ!..
(განწირულებით გაგარდება).

ივდით.

თავის დედისთვის გასწორა თავი!

ესთერ.

ერა, შენთვისა.

ოთველ.

ჯეურთხე ღმერთო,
ეს დღე და წამი! იგი ეარს ჭეოფეს...

ესთერ

შვილო! გამიშვით მე ამისთანა!...
გამიშვით შვილო! ჩემ სიყვარულ შვილს
ძინდა დაკეტინ... ჩემო ერიელ...
გამიშვით!.. ნეტა ვის ჰქვის ქვის გული,
რომ მტრად უსდება ჩემს ერიელსა?...
სადა, სად ჭეოგებთ ამის სულზელა.
უმეირთესესულს?.. წადეთ ეველა,
წადეთ დროით!.. და სადაც შეგეგლგეს
ეველგან ვეეირთ ამასდის სმითა:
„ეეეურეთ ამა! ეს ის შვილია,
რომელსაც ეეეარს თავის დედა-თქო!“
(საჩქაროდ გადის რეენ და ოთველის დახმარებით.)

ივდით (მარტო, ფანჯარასთან)

ჯერ ეზოშია... ძლივს წამოიასა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვისი მანტია... უქუდოდ მიბმის...
ქუჩაში მიდის... შესდგა... ოჰ, დიმერთო!
მარჯვენივ თუ მარცხნივ?.. იგი უოუმანობს...
წავიდა... მარჯვენივ—სინდოდისკენ!..

(მოშორდება ფანჯარას)

უოგელივე ეს რა უცბად მოხდა!..
და... მე—ვერ იქნება დანაშაული...
ასე უცერად, ანაზდეულად...
ოჰ, დმერთო! მერე რომ უარი ეთქოს!..
ერთი ეს ფიქრი ჩემს სისხლსა ეთინაგს!..
ნუ თუ ზეგარდმო დაწერილია,
რომ ქალი იმავ სოფლის შექმნიდამ
ეთქოს მარადის კაცი საწუველად?
რა მოწყენილი სახე ქონდა ძმს!
ხელი... მუხლები უკანკალებდა...

(სწრაფად მიგა ფანჯარასთან.)

შესდექ... ჯოსტა... დაბრუნდი უკან!..
გვიანდაა!.. ოჰ, მუხთალო ბედო!
ამ ცოდვისთვის ნუ დაგვსჯი მეცერად!

(დაეცემა საკარძელზედ.)

(შემდეგი იქნება).

წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

I

მეგობრებზე.

*** მეგობრად ნუ აირჩევ იმას, ვინც შეძლებით (ფლიბით) შენი თანასწორი არ არის. შენზე მდიდარი შენ გაგრძნობინებს, რომ ის თავისი კეთილ კაცობით დაგმიგეგობრდა; შენზე ღარიბს—ამასაგე შენ აგრეშნობინებ.

აქ უადგილო არ იქნება ვთქვათ რა არის „ეხლანდელი მეგობარი“.—ეხლანდელი მეგობარი არის: როდესაც „მე“ მდიდარია—პატრიოსანი, კაცუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი ლირსებებით სავსე კაცი, და როდესაც „მე“ უბედურებაში ჩავარდება—ადამიანი ზემოხსენებულ ლირსებებს შემოცრცვნილი და უჩინ-მაჩინის ქუდ დახურული.

II

„ყვავწვილ—კაცებს“-

*** რაც უნდა ძალიან გიყვარდეთ რომელიმე საზოგადო საქმე—არ გაბედოთ ამ საქმეში გარევა, თუ მოთმინებით არ აღჭურვილხართ, თორემ დაგიმახვებენ: „ლაწირაკს,“ „წინ-დაუხედავს,“ „ქარიანს“ და „ცალა-ხიანსაც“-ეი.

ქართული თეატრი

ოთხს თეატრალს ქართულ დრამატიული საზოგადოების დასისაგან, არტისტა ბაბ.-ცაგარლის ბენეფისში წარმოდგენილი იყო ბ. სუნდუკიანცის სამ-მოქმედებიანი კომედია „დაჭცეული ოჯახი.“ რაიცა მოთამაშეთ შეეხება, ყველამ სინიდისიანად შეასრულა თავისი როლი, განსაკუთრებით თვითონ ბენეფიციანტკამ ნ. ბაბუნია-ცაგარლისამ: საღამოს როლი სწორედ, რომ ხელოვნურად შეასრულა. მხოლოდ ისა გვაქვს სამწუხაროდ, რომ ეს ნიჭიერი არტისტა გამუდმებით არა თამაშობს ქართულ სცენაზედ... აბაშიძემ ოსეფას როლი, შეუდარებლად ითამაშა. აქ არ შეგვიძლიან სხვათა შორის არ შევნიშნოთ, რომ ეს ტიპი ბ. აბაშიძემ უკეთ დახატა, ვიდრე ყიფიანი გვიხატავს ხოლმე: ყიფიანი სრულიად ტრაღიკულს ხასიათს აძლევდა ხოლმე ოსეფას,—ბ. აბაშიძე განსაკუთრებითკარგი იყო მესამე მოქმედებაში, როდესაც სახლის ასაწერად შემოდიან.

რაიცა ქ.—ბ. ლეონიძისას და ბ. ცაგარელს შეეხებათ, საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველთვის და ეხლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინდისიანად ექცევიან თავიანთ საქმეს. ამ წარმოდგენაზედ თავი ისახელა ბებერის ხახოს როლში ქ.—ბ. ლეონიძისამ. ქ.—ბ. თამაროვისა ასრულებდა ნატოს როლს, მაგრამ ის სიმცქვიტე და გამჭრიახობა, რომელიც ამ ტიპის თვისებას შეადგენს სრულის ჭეშმარიტებით ვერ იყვნენ დაცულნი ქ.—ბ. თამაროვისა ცოტა არ იყოს. გამბედაობას და სითამამის მოკლებული არის. მაგრამ როგორც ახლად გამოსულს სასცენო ასპარეზედ, რასაკვირველია მიეტევება. როგორც ეტყობა თამაროვისას სცენა უყვარს, ცდილობს კიდეცა, ასე რომ მომავალში რიგიანი არტისტკა შეემატება ჩვენს ქართულს დასს. ბენეფიციანტკას რამოდენიმე სიჩუქარი მიართვეს და წარმოდგენის შემდეგ ბეწგალის ცეცხლით და ტაშის კვრით გაიცილეს. წარმოდგენაზედ ხალხი ბლომად დაესწრო.

პასუხი ვ. თუმანიშვილს

საზოგადოდ გაზეთის დანიშნულება და მნიშვნელობა საკმარისად არის გამორკვეული და დღეს ჩვენში ამაზედ აღარავინ ლაპარაკობს. თუმცა ეს ასე მაგრამ დღეს ჩემდა სამწუხაროდ მე უნდა მოვცე ჩემ თავს ქართული გაზეთების შესახებ ერთი კითხვა, კითხვა გამოწვეული არა სასიამოვნო შემთხვევისაგან. არც მე ვარ მოყვარე ამ გვარის წერილებისა—უკრიტერი ვარ და ამისთვის უყურადღებოდ დვგტოვებდი ამ სახიზღარ მოვლენას, რომ ეს ამბავი არ შეეხებოდეს იმისთანა პირს, რომელსაც ჩვენ პატივს ვსცემდით და მიგვაჩნდა ერთ უკეთეს ყმაწვილ-კაცად.. მაშ გადავიდეთ საუბრის საგანზედ.

საქართველოში რისთვის უნდა იბეჭდებოდნენ ქართული გაზეთები? —ამ კითხვაზე მეკე ვუპასუხებ ზოგი ერთი ყმაწვილი კაცების სიტყვით, რომელთაც სხვა არავინ არად მიაჩნიათ, თავიანთი თავი განთალებულ კაცად ჩაუთვლიათ და ჩვენც ვფიქრობთ რომ, ამთ კარგად უნდა ესმოდეთ გაზეთის დანიშნულება—აი, ამ კაკეების აზრით ქართული გაზეთები უნდა იბეჭდებოდნენ საკებრად და საკიდებლად იმ პირთა, ვის სახელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიმე მიზეზის გამო ახსენებენ ეს გაზეთები. ავიღოთ მაგ. „თეატრი.“ ნამ არ შეიძლება, რომ ამ გაზეთმა თეატრზე არა თქვას რა. ჰო, და აი ამ სუბარში უნდა აქონ და აქონ, აქონ დაუბალოვებლად ყველა: აქტორები—ქალები, აქტორები—კაცები, სცენარიესი, მაშინისტი დავიდა, რეჟისორი, კომიტეტი, კარების მცველნი და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით ყველა უნდა აქონ გარდა ..მაყურებელი სიზოგადოებისა—ამათ რამდენიც უნდა სჩვლილტოს, ჭვეულმოს; ამის ნება აქვს გაზეთს, სხვა არაფრისა. გაზეთი „თეატრი“ არ უნდა ეგებოდეს არა გვარ თეატრის ნაკლულევანებას, არ უნდა აძლევდეს მის მოთავეთ არა გვარ რჩევას. რომ ეს ასე დაგიმტკიცებთ მაგალითით. „თეატრი“-ს მესამე ნომერში ბ. „ორთაჭალელმა“ ორიოდე სიტყვა თქვა თეატრის ნაკლულევანებაზე და სხვათა შორის შეეხო ბ. რეჟისორსაც. ყველა დაგეთანხმება, რომ იმ ნომერში სიტყვები და გასაგებრებელი არა იყო რა და თუ. ვინიცობაა, იმ შენიშვნის დამწერი სტუდიოდ რაშიმ—შეიძლებოდა შემდეგ ნომერში ამბავე გაზეთისა მიეცთ პასუხი და გიმტკუნებინთ დამწერი. მაგრამ, არა! აი რა ამდგომანინ ბ. გ. თუმ—შვილმა. აიღო და მოგვწერა შემდეგი წერილი: „თუმცა გაზეთის ჩემი ძმის სახელოსაზე ჭეშტავნით, მაგრამ ხელის მომწერი მე ვარ?! და გთხოვთ მომისმინთ გამოგზავნა... ამ სიტყვებს მოსდევს ბევრი მეტად „ბეთელ შობილური“ სიტყვა-პასუხი, (სიტყვა-პასუხზედაც შეეტყობა ვინ რამელ სიზოგადოებას ეკუთვნის) ეს კიდევ არაფერი. ამას არ დასჯერდა და თურმე ვილაც..ბიჭ-ბუჭებს შეჭვევნის: აბა ერთი კიდევ ამოიღოს ხმა ბ. „ორთაჭალელმა“ და მე დაუმტკიცებ ვინცა ვარო; თუ სამსახურიდამ არ გამოვაგდებინებ და რალა კაცი უნდა ვიყოვო... აი ბატონებო! ვის ხელში ვყოფილვართ! აი ვისზე ყოფილა დამოკიდებული ჩვენი გაზეთის დღეგრძელობა. ეს ბატონები უნდა უსთოოდ აქო და ხელის მომწერნიც ეკოლეგიალ გაზეთს თუ არ აქებ—არამც თუ თავის მაგიერ, სხვის მაგივრათაც კი უარს გამოაცხადებენ გაზეთის გამოწერაზე; ამის გარდა—გამეჭავს, არა მაქებარს, შენიშვნის დამწერს სამსახურიდამაც კი გამოაგდებინებ... წავიდეს მერმე და ირიკოს...

ბ. მეითსველო! ესენი თქვენ გასსოვთ!

დასსრულ—ბოდიშს მოვიხდი მეითხველებთან. ეს წერილი. ვიმეორებ, არ შეეხებოდეს იმისთანა პირს, რომელსაც ჩვენ თვითონ პატივს ვსცემთ, რომელიც მიგვაჩნდა, თუ არ პირველ—არც უკანასკნელ კაცად ამაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
2012-ეროვნული

ვილ კაცებში, ხმასაც არ ამოვიღებდით: რამდენი ხანია ვიცნობთ ვ. თ. აქამდისინ სულ სხვა აზრისანი ვიყავით და დღეს ცხადად დავინახეთ, თურმე ცსტუუდებოდით და კიდეც ამასა ვკერით—ამ წერილში. მესამე მერში დაბეჭდილი წერილის დამწერი ასე იწყობს თავის შენიშვნას თეზე: მართლის თქმა მინდა, მაგრამ ესეც კი ვიცი რომ „მართლის მთქცენი შეაზზული უნდა ჭყვანდეს, თქოს, შეედეს და წავიდეს, თუ ანიდამ არა, ამ ქალაქიდამ მაინცაო და—როგორც გვიდამთ გამაკიდეც ეს სიტყვები.

იხეე ის.

ქეირას 8 თებერვალს ქართული დრამატ. საზოგად სისაგან წარმოდგენილი იქნება: „თამარ ცბიერი“.

*** ოთხშაბათს 11 თებერვალს დანიშნულია ბენეფ. ალექსეევ-მესხიევისა. წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტ შექსპირისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.

თქმა არ უნდა რომ საზოგადოება ბლომად დაესწრობა

რედაქტორ-გამომცემელი გ. ანიშაძე

Дозв. Ценз. Тифл. 1-го Февраля — ტრ. ჩარკვიანის სტამბ.